

2008 წელი, 12 მაისი

ახალი ამბები

საარჩევნო კომისიების წევრებმა ქვევის კოდექსს ხელი მოაწერეს



თბილისი.12.05.08.მედიანიუსი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის ქვევის წესების კოდექსს ხელი მოაწერეს.

ხელმოწერის ცერემონია თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა. ქვევის წესები ამერიკულმა ორგანიზაციამ „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა“ და გაეროს განვითარების პროგრამამ ცესკო-სთან თანამშრომლობითა და აშშ-ის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით შეიმუშავეს.

ქვევის წესები ექვსი ძირითადი პრინციპისაგან შედგება. ამ პრინციპების თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელემ ყოველთვის უნდა იხელმძღვანელოს კანონით და პატივი სცეს მათ; უნდა იყოს მიუკერძოებელი და ნეიტრალური; მისი საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე და საჯარო; საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელემ დროულად და ზუსტად უნდა დაითვალოს ამომრჩეველთა ხმები და წარადგინოს კენჭისყრის შედეგები; მან საკუთარ მოვალეობად უნდა მიიჩნიოს ამომრჩეველთა უფლებების თავისუფლად და სამართლიანად განხორციელება და ეს მოვალეობა პროფესიულ დონეზე უნდა შეასრულოს.

როგორც ცესკო-ს თავმჯდომარემ ლევან თარხნიშვილმა განაცხადა, აღნიშნული პრინციპები საერთაშორისო სტანდარტებსა და პრაქტიკას ეფუძნება. „ცესკო ამ პრინციპებით ყოველთვის ხელმძღვანელობდა, ახალი ქვევის წესები კი, დამატებით მორალურ ვალდებულებას გვაკისრებს. მიხარია, რომ პროფესიული ეთიკური კოდექსის შესრულებას საქართველოში ერთ-ერთი პირველები სწორედ ჩვენ დავიწყებთ“, - აღნიშნა ლევან თარხნიშვილმა.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის ქვევის წესებს დღესვე ხელი მოაწერეს საქართველოში არსებული საოლქო და საუბნო კომისიების წევრებმა.